წელიწადი მეორე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!




ფასი 5000 მანეთი.

გაზეთი გამოდის ყოველდღიურათ მასალები მიიღება რედაქც. 9—3 საათ. ყოველ დღე. რედაქ. მისამ.: საპიორ. ქ. № 30. პირველი სართული.

შ ბათ. 14 ოქტომბერი. 1922 წ.

№ 118 ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილების ყოველდღიური ორგანო № 118

# მენშევიკურ სამოთხეში.

როგორც საქართველოს, ისე ყველა ქვეყნის მენშევიკები გაიძახიან, რომ ისინი არიან პროლეტარული კლასის მებაირახტრენი და საუკეთესო დამცველნი მშრომელთა მასსების. კომუნისტები კი, უწოდებენ მათ ბურჟუაზიის აგენტებს, რომელნიც თავისი პოლიტიკით აკეთებენ ბურჟუაზიის საქმეს, ამაგრებენ კაპიტალის ბატონობას და ასუსტებენ პროლეტარიატის კლასიურ ბრძოლას.

ჩვენმა წითელ-არმიელებმა კარგათ უნდა გაიგონ ფაქტებით, რამდენათ მართალია მენშევიკების შესახებ კომუნისტების აზრი.

გერმანიაში სახელმწიფოს ბატონ-პატრონი არის გერმანიის სოციალ დემოკრატია. ომის ფორმალურათ დასრულების შემდეგ, გერმანიის მუშათა კლასმა მოინდომა მთელი სახელმწიფოებრივი ძალა უფლების ხელში აღება და სასტიკათ წინააღმდეგობის გაწევა ანტანტის მიმართ, ვერსალში შემუშავებულ გერმანიის მშრომელ ხალხს დამონავებულ პირობათა გამო. გერმანიის მუშათა მოძრაობა ამავე დროს გააცამტვერებდა თავისი ბურჟუაზიის ბატონობასაც. მაგრამ გერმანიის სოციალ დემოკრატიამ პროლეტარიატის რევოლიუციონური მოძრაობა ცეცხლითა და მახვილით ჩააქრო და მისცა საშუალება ბურჟუაზიას, რომ თავისუფლად განეგრძო გაძლიერებული ექსპლოატაცია მუშათა კლასისა. გერმანიის სოციალდემოკრატიის მოღალატური პოლიტიკის შემდეგ მთელი მუშათა კლასი თანდათან მოექცა რევოლიუციონურ კომუნიზმის დროშის ქვეშ. ამან კი გამოიწვია საშინელი რეპრესიები კომუნისტების მიმართ. ეხლა გერმანიის ციხეები სავსეა რევოლიუციონურ-კომუნისტ მუშებით. საკმარისია დამტკიცდეს რომელიმე რევოლიუციონური მუშის კომუნისტობა, რომ გერმანიის სოციალდემოკრატიული მთავრობამ მაშინვე ციხეებში უვადოთ აუტანელ პირობებში მოათავსონ.

მთელი მსოფლიოს ბურჟუაზია ყველა სახელმწიფოებში სდევნის რევოლიუციონურ მუშებს და იზოლიაციას უშვრება მუშათა ორგანიზაციისაგან.

მენშევიკური და ბურჟუაზიული პრესა რუსეთის კომუნისტური მთავრობის წინააღმდეგ ავრცელებენ დაუჯერებელ ჭორებს, თითქო საბჭოთა რუსეთში პატიმრები აუტანელ მდგომარეობაში იყვნენ. ესერების პროცეზე დამსწრე ვაჟბატონებმა ვანდერველდემ, როზენფელდმა და ლიბკნეხტმა აღიარეს ევროპის პრესაში, რომ პატიმარი ესერები ძალიან ჯანმრთელად გრძნობენ თავს და თავისუფალ პირობებში სცხოვრობენ საბჭოთა ციხეებშიო. ეს სიმართლე იძულებული იყვნენ ეღიარებიათ მთელი მსოფლიოს პროლეტარიატის წინაშე; ვინაიდან მათ გარდა სხვებიც ევროპიდან დაესწრო ესერების პროცესს.

მიუხედავათ საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელი მასების წინააღმდეგ, ესერების მიერ მოღალატური მოქმედებისა, საბჭოთა მთავრობა მათ ციხეებში ინახავს და არ ყოფილა არც ერთი შესთხვევა, რომ მათ მიმართ ვისმეს ფიზიკური შეურაცყოფა მიეყენებიოს/.

რას ვხედავთ ჩვენ კომუნისტების მიმართ ბურჟუაზიულ და სოციალ-დემოკრატიულ სახელმწიფოებში.

ბურჟუაზია დაუზოგველათ ანადგურებს კომპარტიას განსაკუთრებულ „ფაშიზმის“ ტიპის ორგანიზაციების შემწეობით.

თვით სოციალდემოკრატიული გერმანიის მთავრობამ ბურჟუაზიას კომუნისტებისადმი მიმართულ რეპრესიებში გადააჭარბა. ბევრია ფაქტები, მაგრამ საკმარისია ერთი ფაქტის დასახელება, რომელიც ნათელს ფენს მენშევიკების მტარვალობას.

გერმანიის ციხეებში საშინელ ატმოსფერაში იმყოფებიან კომუნისტები. ერთი ლიდერი გერმანიის კომუნისტებისა ამხ. მაქს ჰელცი შემდეგნაირათ აღწერს ერთ წერილში მისადმი ციხის ადმინისტრაციის მოპყრობას:

„... მე მჩაგრავდნენ არაჩვეულებრივი საშვალებებით, მცემდენ განსაკუთრებით კეფაში და საჯდომზე-“ მიწაში მოთავსებულ ცივ კამერაში, სადაც არ იმყოფებოდა არავითარი ავეჯეულობა, სრულიად შიშველი შეაგდეს ამხ. გელცი. „არ იყო ფეხის ადგილი. საშინელი სუნი იყო შარდისა და განავალის. დაჯდომა იატაკზე შეუძლებელი იყო, რადგან შარდი იყო დასხმული... ამ პირობებში გავატარე ოთხი დღე ღამე... როდესაც ტკივილებისაგან მივედი სასოწარკვეთილებაში განვაცხადე; ასეთ დამცირებას სჯობიან, რომ მომკლან მეთქი. ამაზე ერთმა დარაჯმა მიპასუხა: არ მოგკლავთ არ მოგკლავთ, მაგრამ შენ, არამზადას, იმდენს გცემენ ვიდრე თვით არ ჩამოიხრჩობ თავსაო“...

ამ წერილში ნათლად არის, თუ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული მთავრობის აგენტები, როგორ აჭარბებენ რეპრესიებს ცარიზმის ჟანდარმერიაც კი. ამ ფაქტის შემდეგ კიდევ შესწევს გამბედაობა საერთაშორისო მენშევიზმს ილაპარაკოს კომუნისტების რეპრესიებზე „სოციალისტების“ მიმართ.

კომუნისტები საბჭოთა რესპუბლიკებში ებრძვიან მუშათა ხელისუფლების მტრებს გერმანიაში და სხვა ბურჟუაზიული სახელმწიფოებში კი მუშათა კლასის მებაირახტრე კომუნისტები პარტიას და თვით მუშათა რევოლიუციონურ-პროფესიონალურ ორგანიზაციებს ანადგურებენ.

ასეთი გამიშვლებული ბოროტი დევნა და დაცინვა რევოლიუციონურ პროლეტარიატისა სოციალ დემოკრატები მიერ დაუვიწყარი იქნება მშრომელი მასის მიერ. კარს მომდგარი პროლეტარული რევოლიუცია მოღალატეობისთვის სასტიკ განაჩენს გამოუტანს მათ.

# დღევანდელი ცნობები

— საბერძნეთის მთავრობამ განაცხადა, რომ ის ხელს მოაწერს შეთანხმებას, როცა კარგათ გაეცნობა შეთანხმების იმ ნაწილს, რომელიც ეხება ფრაკიის ევაკუაციის პ რობებს.

— ფრაკიის ევაკუაციას კანტროლს გაუწევს მოკავშირეთა 7 ბათალიონი

— ბულგარეთ-რუმინიის საზღვრები დაიხურა 14 დღის განმავლობაში ბულგარეთის მხრივ.

— ჩინეთის მთავრობამ დაადგინა, მოიწვიოს რუსეთ-ჩინეთის კონფერენცია.

## ახლო აღმოსავლეთის ამბები

— გაზ. „ტაიმსს“ სტამბოლიდან ატყობინებენ, რომ ფრაკიის ევაკუაციის კანტროლს გაუწევს მოკავშირეების 7 ბათალიონი, რომლის რიცხობრივი უპირატესობა მინიჭებული აქვს საფრანგეთს.

— საბერძნეთის მთავრობამ განუცხადა პრესას, რომ იგი მოაწერს ხელს შეთანხმებას 3 დღის შემდეგ, როდესაც დაბრუნდება საბერძნეთის დელეგაცია, ვინაიდან მას უნდა გაეცნოს შეთანხმების იმ ნაწილს, რომელიც ეხება აფრიკის ევაკუაციის პირობებს.

— პარიზის პოლიტიკურ წრეებში ამტკიცებენ, რომ ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო კონფერენციას არ შეუძლია შეკრიბოს 1 ნოემბრის უფრო ადრე, ვინაიდან ამ ვადამდე შეუძლებელი იქნება, ყველა საჭირო დოკუმენტების დამზადება და შეგროვება.

— რეიტერის სააგენტოს ცნობით ოსმალების ჟანდარმერიის რიცხვი ფრაკიაში იქნება 8,000 კაცამდე.

— მუდანის შეთანხმება შეიცავს მუხლებს შემდეგ საკითხების შესახებ: საბერძნეთის ჯარების და სამოქალაქო ორგანოების ევაკუაციის პირობები, ოსმალეთის ჟანდარმერიის და ადმინისტრაციის ფრაკიაში დაბინავების პირობებს ფრაკიაში გარდამავალ, ხანაში კანტროლის უზრუნველყოფა და დაწესება იმ ხაზისა, რომელსაც უნდა მისცილდენ ბერძნები.

— ეს ხაზი გაჰყვება მდ. მარაციის მარცხენა ნაპირს. ეგეის ზღვის დასაწყისიდან იმ წერტილამდე, სადაც ფრაკია უერთდება ბულგარეთს. ოსმალეთის საოკუპაციო ჟანდარმერთა შესდგება 8000 კაცისგან, თუ მივათვლით ოფიცრებსაც. ანტანტის 7 ბათალიონი დაიკავებს აღმოსავლეთ ფრაკიას. ბერძნების ევაკუაციიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ ეს რაზმები დასტოვებენ ფრაკიას ანგორის ჯარები შეჩერდებიან აზიის ნაპირებზე ჩანაკის რაიონში 15 კილომეტრზე დაშორებულის აზიის ნაპირებიდან და 15 კილომეტრზე დასავლეთით ბოსტ-ბურნუ და კუმ-ბურნუს ხაზზე. ის მიდის ნახევარ კუნძულზე დაწყებული ბოსფორიიდან. მოკავშირეთა ჯარები დარჩებიან იმ პოზიციებზე, რომლებიც ეხლა უჭირავთ. ანგორის მთავრობამ არ უნდა გადაიყვანოს ჯარები და არ უნდა მოაწყოს არმია აღმოსავლეთ ფრაკიაში საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციამდე. შეთანხმება შედის ძალაში ხელის მოწერიდან სამი დღის შემდეგ, სახელდობრ 15 ოქტომბრიდან.

## სხვა და სხვა ამბები

— ბალტიის ზღვის განაპირა სახელმწიფოების კონფერენციამ დაადგინა მიიღოს მონაწილეობა მოსკოვის კონფერენციაზე განიარაღების შესახებ.

### საფრანგეთი.

— საფრანგეთის სავაჭრო ფლოტის დეპარტამენტმა უარყო მეზღვაურთა კავშირის წინადადება რვა საათის სამუშაო დღის შესახებ სამედიატორო კომისიის შედგენაზე.

### ლ ა ტ ვ ი ა.

— ლატვიაში ადმინისტრატიული რეპრესიები გრძელდება. „ოხრანკის“ აგენტებმა ჩხრეკა მოახდინეს ებრაელ მუშათა საზოგადოებაში და საპროვოკაციოდ დაყარეს პროკლამაციები ლატვიურ და ებრაულ ენებზე. დატუსაღებულ იქმნა საზოგადოების მდივანი.

### გ ე რ მ ა ნ ი ა.

— მუშების მოთხოვნით იენში შეწყვეტილია კინემატოგრაფში ანტი ბოლშევიკური სურათი „სიკვდილის ცეკვა რუსეთში“ დემონსტრაცია.

### პ ო ლ ო ნ ე თ ი.

— დატუსაღებულ იქმნენ „ქალაქის და სოფლის პროლეტარიატის“ კავშირის კომიტეტის წევრები სხვა და სხვა ადგილას. პოლიციამ დაშალა მიტინგი გროდნოში.

— ვარშავაში გაჩხრიკეს მშენებელთა კავშირის ბინა. პოლიციამ შეაჩერა კავშირის გამოცემის ბეჭვდა.

— ვარშავში დაიწყო ტელეფონზე მომუშავეთა გაფიცვა.

**გაზეთი ცხოვრების სარკეა.**

წაიკითხეთ და წერა-კითხვის უცოდინართ გაუზიარეთ, მისი შინაარსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგო წ. არმიელებო! ებრძოლეთ თქვენ რიგებში, პროვოკაციას და დეზერტირობას.




## სამხკორი იძახის რა დავწერო.

ქართულ შეერთებულ სამხედრო სკოლის უმწყობრო ასეულში ავირჩიეთ სამხკორი ამ თვე ნახევრის უკან. ჩვენ წ.-არმიელებს, იმედი გვქონდა, რომ ის ჩვენი ცხოვრებიდან წერილებს მოათავსებდა ჩვენ გაზეთში, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროთ, იგი წერილებს არ სწერს. როცა ვეკითხებით თუ გაზეთში რატომ არაფერს სწერს, იგი გვიპასუხებს: „ტყუილს ხომ არ დავწერ, რა დავწერო.“ ასეთი პასუხი მიუტევებელია სამკორისათვის, ვინაიდგან მრავალი არის მასალები ჩვენს ნაწილში, რითაც შეიძლება ისარგებლოს და სისტემატიურად გაგზავნოს წერილები რედაქციაში, კვირაში ერთხელ მაინც.

წ. არმიელი **ვალიკო.**

## საჭირო არის

ქართულ ლაშქარს უკვე აქვს თავისი ცალკე ორგანო, რომლის საშვალებით მას შეუძლია გამოსთქვას თავისი ავ კარგიანობა ნაწილისადმი. წითელ არმიელებიც ათავსებენ თავიანთ ლექსებს, ფელეტონებს და წერილებს. ეს არის პატარა სამხედრო გაზეთი „წითელი არმიელი“. კარგი იქნება, რომ ქართულ წითელ ლაშქარს ქონდეს ცალკე ჟურნალი, რომელიც საშვალებას მისცემს ნიჭიერ წითელ არმიელს თავისი ნორჩი ნიჭი გაფურჩქნოს და გაშალოს. კარგი იქნება საბჭოთა საქართველოს მთავრობამ მრავალ სიკეთეს ამ ერთ სიკეთესაც მიუმატებდეს და ქართულ ლაშქრისთვის დაარსებდეს ჟურნალს. გაზ. „წითელ არმიელი“-ს წასულ ნომერში იყო „წითელი ყვავილები“-ს გამოსვლა, მაგრამ მას დღემდის უყურებ და ჯერ არსად სჩანს.

სამოსწ. ჯგუფ. სამხ. **ვ. ნეფარიშვილი.**

## პირველი ლეგიონი საზამთრო სამზადისში

საზაფხულოთ მყოფი წითელ-არმიელები ისევ დაუბრუნდენ ყაზარმას, რომელიც დასუფთავებული და მოწყობილი იქმნა. დუშეთში მყოფ ჯარის ნაწილები უკვე ჩამოვიდა, მუშაობას გამოცხოველება ეტყობა, როგორც საზამთრო სამზადიში ისე სამხედრო პარტიულ და პოლიტ-განმანათლებელ საქმეებში. უმთავრესი ნაკლი ლეგიონისა საზამთრო სამზადისში იყო: ყაზარმის შეუკეთებლობა, წყლის, სინათლის და ტანსაცმელის უქონლობა, რომელიც ნაწილობრივათ მოგვარებულ იქმნა. ბინის შეკეთებას შეუდგენ, შინელები და საზაფხულო ბლუზაშალვრები უკვე მივიღეთ. წყალი და სინათლე გვაქს, თუმცა არაა საკმაოთ. მაგრამ არის ცნობა ამასაც მოაწესრიგებენ და მოგვივა საცვლები საზამთრო ბლუზა შალვრები, ფეხსაცმელები, საგებ სახურავი, შეშა და სხვ.

ამ ბოლო დროს აშლილი სამხედრო პარტიული და პოლიტ-განმანათლებელი მუშაობა ისევ ეწყობა. ეწყობა სამკითხველო, კლუბი, მუშაობას შეუდგენ წრეები, განახლდა სკოლა.

**ევ. ცომაია.**

## კლუბების გამგეების შესახებ.

იყო დრო, როცა კლუბების გამგეებს უცქეროდენ როგორც ტეხნიკურ აღმასრულებლებს, როგორც მხოლოდ სპეცებს, რომელთაც ესმით სათეატრო საქმე ეს იყო ეს. და ეხლაც ზოგიერთი ჩვენი კლუბების გამგეებიც ამის იქით არ მიდიან ნამდვილად კი კლუბი უნდა იყოს ცენტრი მთელი პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობისა, კლუბის გამგე, რომელიც სდგას კლუბის სათავეში, უნდა იყოს ორგანიზატორი იდეური ხელმძღვანელი და ნამდვილი მატარებელი საკლუბო მუშაობისა.

ჩვენი საკლუბო მუშაობა ხშირად ვერ არის სასურველ დონეზე დაყენებული იმის გამო, რომ კლუბის გამგეს არა აქვს ავტორიტეტი, რომ კლუბის გამგე ვერ იპყრობს სათანადო მდგომარეობას ნაწილში. საჭირო არმიის მეორე კონფერენციაზე საბოლოოთ გადარჩეულ იქნენ ჩვენი კლუბების გამგეები და ყველა ისინი, რომლებმაც ვერ გამოიჩინეს საჭირო ინიციატივა და სიყვარული საკლუბო საქმეებისადმი, ჩამოშორებული იქმნას სავსებით.

კლუბის გამგეს უნდა შეეძლოს წრის გაცხოველებულ მუშაობაში ჩააბას მასსა, ან შეაკავშიროს ცალ-ცალკე წრეები ერთად და შესძლოს მათი გამოყენება მასსიური სამუშაოსათვის.

ჩვენ კლუბებში ადგილი არა აქვთ ისეთ კლუბების გამგეებს, რომელნიც არიან რა თეატრების გამგეები, ფიქრობენ მხოლოთ გასართობებზე არ უწყობენ ხელს ისეთ საკლუბო მუშაობას, რომელიც დაყრდნობილი იქნება, წევრთა თვითმოქმედებაზე და წრეების გაძლიერებულ მუშაობაზე.

ჩვენს ჯარში არა აქვთ ადგილი ისეთ კლუბების გამგეებს, რომელნიც პოლიტიკურათ არ არიან საკმარისად მომზადებულნი და არ შეუძლიათ შეაკავშირონ საკლუბო მუშაობა, პოლიტსაათის საერთო საავიტპროპო მუშაობასთან.

**სერგეი ეგიკოვი.**

## სოციალური დახმარება

სახალხო კომისართა საბჭოს მიერ იქნა გამოცემული დეკრეტი № 3 რომლის ძალით ყველა წ.-არმ. და თანამშრომლებმა სამხედრო სამსახურშიდ, თანახმად დეკრეტისა უნდა მიიღონ დახმარება ოჯახში შრომის უნარ მოკლებულებზედ. ამ დეკრეტის გაგებაზე ჩვენ ყველა წ. არმ. და თანამშრომელნი სიხარულით ცას ვეწიეთ და ერთი ერთმანეთს ულოცავდით. ბევრმა წით. არმ. მაშინათვე აფრინეს წერილები თავიანთ მშობლებთან, რომ სოფლისაკენ ეჩქაროთ სათანადო მოწმობა; მისდამი ასეთი მოწმობები წ. არმ. თემის აღმასკომების შემოწმებით და სამნეო ნაწილს უდგენენ, რამდენიმე დღის შემდეგ ეს მოწმობები უბრუნდებათ უკანვე წ. არმ. წარწერით, რომ თქვენ უნდა იქნეთ დაკმაყოფილებული თქვენივე თემში. პასუხით ეს წერილები მოწმობებით უბრუნდებათ იმავე თემის აღმასკომებს, მაგრამ საუბედუროთ წ.-არ. მოსდის პასუხათ, რომ არაფერს არ გვაძლევენო. ასეთია მდგომარეობა და საჭირო ამაზედ იქნეს ჯეროვანი ყურადღება მიქცეული ვისიც ჯერ არს.

**ხელთუბნელი.**

# კოოპერაცია.

## კოოპერაციის შესახებ.

**(მოხსენება საინჟინერო ათასეულის კომუჯრედის მორიგ ღია კრებაზე წევრის, ე. გოგოლაშვილის მიერ გაკეთებული).**

(გაგრძელება იხ. „წითელ არმ.“ № 113.)

ჩვენ გავითვალისწინეთ პირველი და მეორე ფორმა მშრომელთა ბრძოლისა, საბოლოვოთ გამარჯვებისათვის ეკონომიურად. დავინახეთ აშკარათ, თუ რა საფუძველზე არის აშენებული, როგორც პირველი, ისევე მეორეც, და როგორ ჯგუფდებიან მასში მშრომელთა სხვა და სხვა ნაწილები.

დარჩა განვიხილოთ მესამე ფორმა, რომელიც აკავშირებს სულყველა დანარჩენ ნაწილს საზოგადოებისა. ეს არის კოოპერაცია, მისი მნიშვნელობა განისაზღვრება შემდეგი განმარტებით: კოოპერაცია არის ახალი ფორმა მშრომელთა ნებაყოფლობითი შეკავშირებისა, რომლის მიზანია წარმოებისა და ნაწარმოების განაწილების ასპარეზზე თანამშრომლობის გაჩაღებით, შრომის ნაყოფმა შრომა დააჯილდოვოს, და არა კაპიტალი, რომელსაც შესაძლოა მიეცეს მხოლოდ კანონიერი პროცენტი. ესე იგი კოოპერაცია ცდილობს შექმნას შრომის ისეთი პირობები, სადაც კოოპერაციის მონაწილე წევრი მწარმოებელიც იყოს და მომხმარებელიც.

ეს დებულება წამოყენებული იყო თავის დროზე რობერტ ოუენის მიერ. ის დაიბადა 1771 წ. ინგლისში. სიყმაწვილისას მაღაზიაში მსახურობდა. შემდეგ შოტლანდიაში იყო ქარხნის გამგეთ. მისი ხელმძღვანელობით 1830 წ. ინგლისში დაარსდა პროფესიონალური კავშირი; იგივე უძღოდა კოოპერატიულ აღმშენებლობას ინგლისში, სადაც კოოპერაცია ერთობ დამარცხდა 1833—34 წელში, რის შემდეგაც მან ისარგებლა კოოპ. აღსადგენათ ინგლისში 1834 წ. დაწყებული ჩარტისტთა მოძრაობით. ეს მოძრაობა დამარცხდა 1848 წ. და მასთან რობ. ოუენის იდეაც კოოპერაციაში.

თავის თავად ცხადია, რომ ამისთანა პირობებში მომხმარებელს არ დასჭირდება შუამავალი-ვაჭართა ორგანიზაცია, ნაწარმოების განაწილებაში. მაშასადამე ის გააუქმებს კერძო სავაჭრო აპარატს და ცალკე ინიციატივის მაგიერ მთელ საქმეს, შექმნისას და განაწილებისას დაეპატრონება ამხანაგობები, ის გახდება კოლექტიურ საქმეთ, ესე იგი საზოგადოების კუთვნილებად.

(გაგრძელება იქნება).




## წითელი ეკლები.

ვინმე „ნაჩხოზი“ ლალი...
(ქუთაისის ბულვარით)
არშიყობას უნდება
(მოხუცი და მხურვალი...)

მოყვანილი, ლამაზი,
ქალებისა თამადა,
„ოდელია, დელიას“
მიიმღერის თავადა.

საქმეების რა გითხრათ?!
(იქნებ არის მტყუანი?)
„ოდელია, დელია“,
ყველგან არს „დონ-ჟუანი“.

**დ ა შ ნ ა.**

## პ.-ტ. კურსებთან.

კურსების მახლობლად
ქეიფობა გაჩაღდა:
ღვინოს სვამენ წყალივით
კაფე შანტანს დამსგავსდა.

დაღამდება თუ არა
ისმის „ჰარი არალე.“
საქმე დავიწყებიათ
ჭიქებს სცლიან მალ-მალე.

აი როგორ მუშაობს
პოლიტ-ხელი, სამკომი
სამიკიტნოთ გადიქცა
მათი ბინა—სადგომი.

დროა მათაც იგემონ
რედაქციის მათრახი
რომ ღონიერ მოქნევით
აუტეხოთ ცახცახი.*

**მარხი.**

*) მხლებელთ ათასეულის
ყოფილან ეს პირები
(იქიდან „ჰამტაფინა!“)
ეხლა ანატირები.

**დაშნა.**

ნება დართულია სამხედრო ცენზორისაგან. რედაქტორი პ. ქუთათელაძე.